საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1097

19/07/2021

ქ. თბილისი

,,საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ 132-კმ135 მონაკვეთზე გვირაბის შემოსავლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების და მის მიმდებარედ მდინარის კალაპოტის ფორმირების სამუშაოებთან ერთად ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 მარტის N 2-227 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ 132-კმ135 მონაკვეთზე გვირაბის შემოსავლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების და მის მიმდებარედ მდინარის კალაპოტის ფორმირების სამუშაოებთან ერთად ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის" პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 მარტის N 2-227 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა №27 (20.02.2019).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 ნაწილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ 132-კმ 135 მონაკვეთზე გვირაბის შემოსავლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების და მის მიმდებარედ მდინარის კალაპოტის ფორმირების სამუშაოებთან ერთად ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 მარტის N 2-227 ბრძანება;

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს”
3. ბრძანება ძალაში შევიდეს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი